SEPTEMBER 6 22:00

გიორგი გიგაშვილი – ფორტეპიანო

დომენიკო სკარლატი (1685–1757)
სონატები: დო მაჟორი, K. 487; რე მაჟორი, K. 29; ლა მაჟორი, K. 113

ფრედერიკ შოპენი (1810–1849)
ბალადა No. 4 ფა მინორი, თხზ. 52

ნატალია ბერიძე (*1979)
„წმინდა ატომები“ სოლო ფორტეპიანოსთვის

ლილი ბულანჟე (1893–1918)
სამი პიესა ფორტეპიანოსთვის
I. „ძველი ბაღიდან“
II. „ნათელი ბაღიდან“

მორის რაველი (1875–1937)
„ანარეკლები“
ღამის პეპლები
სევდიანი ჩიტები
ნავი ოკეანეში
მასხარას დილის სიმღერა
ზარების ხეობა

Giorgi Gigashvili – Piano

Domenico Scarlatti (1685–1757)
Sonatas: in C Major, K. 487; in D Major, K. 29; in A Major, K. 113

Frédéric Chopin (1810–1849)
Ballade No. 4 in F Minor, Op. 52

Natalie Beridze (*1979)
Holy Atoms for Piano Solo

Lili Boulanger (1893–1918)
Trois morceaux pour piano
I. D’un vieux jardin
II. D’un jardin clair

Maurice Ravel (1875–1937)
Miroirs
Noctuelles
Oiseaux tristes
Une barque sur l’océan
Alborada del gracioso
La vallée des cloches
□
პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

დომენიკო სკარლატი – სონატები K. 487, K. 29, K. 113
დომენიკო სკარლატის ჩვენამდე მოღწეული 555 საკლავირო სონატა რამდენიმე სხვადასხვა კატალოგითაა ცნობილი. დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება ამერიკელი კლავესინისტისა და მუსიკოლოგის რალფ კირკპატრიკის მიერ 1953 წელს შემუშავებული ნუმერაცია — სწორედ ამას აღნიშნავს ასო K. დღევანდელ კონცერტზე შესრულებული სამი სონატიდან K. 29-ს სკარლატის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: იგი შევიდა მის ოცდაათი სონატისგან შემდგარ კრებულში Essercizi per gravicembalo, რომელიც 1738–39 წლებში ლონდონში გამოიცა და, სავარაუდოდ, კომპოზიტორის სიცოცხლეში მისი უშუალო მონაწილეობით გამოცემული სონატების ერთადერთი კრებული იყო. დანარჩენი ასეულობით სონატა უმეტესად ხელნაწერ წყაროებში შემორჩა და ფართო საზოგადოებისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

ფრედერიკ შოპენი – ბალადა No. 4 ფა მინორი, თხზ. 52
შოპენმა მეოთხე და უკანასკნელი ბალადა 1842 წელს შექმნა. იმავე წლის დეკემბერში კომპოზიტორმა ნაწარმოები, მეოთხე სკერცოსა და „გმირულ“ პოლონეზთან ერთად, გამომცემლობა Breitkopf & Härtel-ს შესთავაზა; ბალადა 1843 წელს გამოიცა. იგი ბარონესა შარლოტ დე როტშილდს ეძღვნება, რომლის პარიზულ სალონშიც შოპენი ხშირად უკრავდა. შოპენის ოთხივე ბალადა კომპოზიტორის სიცოცხლეშივე გამოიცა. თავად სახელწოდება „ბალადა“ ვოკალური ბალადისგან არის ნასესხები — ნარატიული ჟანრისგან, რომელიც პოეზიასა და სიმღერას უკავშირდება; ამ სახელწოდების დიდი ფორმის, დამოუკიდებელი საფორტეპიანო ნაწარმოებებისთვის გამოყენებით შოპენმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბალადის, როგორც ახალი ინსტრუმენტული ჟანრის, დამკვიდრებაში.

ნატალია ბერიძე – „წმინდა ატომები“
„წმინდა ატომები“ გიორგი გიგაშვილის ECHO Rising Stars 2025/26-ის პროექტისთვის დაიწერა ECHO-ს, დორტმუნდის Konzerthaus-ის, კიოლნის ფილარმონიის, ლუქსემბურგის ფილარმონიისა და კატოვიცეს პოლონეთის ეროვნული რადიოს სიმფონიური ორკესტრის (NOSPR) დაკვეთით. როგორც თავად კომპოზიტორი აღნიშნავს, მას ამ ნაწარმოების დაწერა გიორგიმ თბილისში გამართულ ერთ-ერთ საპროტესტო მიტინგზე შესთავაზა. სწორედ ამ შეხვედრის შედეგად, „წმინდა ატომები“ გიორგი გიგაშვილის Rising Stars-ის პროგრამაში შევიდა.

ლილი ბულანჟე – სამი პიესა ფორტეპიანოსთვის
ლილი ბულანჟე 1913 წელს პრესტიჟული „რომის პრიზის“ ისტორიაში პირველი ქალი გახდა, რომელმაც კომპოზიციის მიმართულებით იმ დროს არსებული მთავარი პრიზი მოიპოვა. მომდევნო წელს, რომში, ვილა მედიჩიში ცხოვრების პერიოდში, მან შექმნა „ძველი ბაღიდან“ და „ნათელი ბაღიდან“. პირველი პიესა ეძღვნება ლილი ჟიუმელს — ლილი ბულანჟეს მეგობარს, ხოლო მეორე — ნინეტ სალესს, კომპოზიტორის კიდევ ერთ მეგობარს და, სხვათაშორის, გუსტავ ეიფელის შვილიშვილს. მოგვიანებით ეს ორი პიესა „მსვლელობასთან“ ერთად გამოიცა საერთო სახელწოდებით „სამი პიესა ფორტეპიანოსთვის“. დღევანდელ კონცერტზე ამ სამიდან პირველი ორი სრულდება.

მორის რაველი – „ანარეკლები“
რაველმა ხუთპიესიანი ციკლი „ანარეკლები“ 1904–1905 წლებში შექმნა; 1906 წელს ციკლი პარიზში ეჟენ დემეს გამომცემლობამ გამოსცა. სრული ციკლი პირველად 1906 წლის 6 იანვარს რიკარდო ვინიესმა შეასრულა მუსიკის ეროვნული საზოგადოების კონცერტზე. ხუთივე პიესა რაველმა თავის მეგობრებს — პარიზელ ხელოვანთა წრის Les Apaches-ის ხუთ სხვადასხვა წარმომადგენელს მიუძღვნა: ლეონ-პოლ ფარგს, რიკარდო ვინიესს, პოლ სორდს, მიშელ-დიმიტრი კალვოკორესის და მორის დელაჟს. მოგვიანებით თავად რაველმა ციკლის ორი პიესა — „ნავი ოკეანეში“ და „მასხარას დილის სიმღერა“ — ორკესტრისთვისაც გადაამუშავა.

ამ დროს საქართველოში...
1905 წელი, როდესაც რაველი „ანარეკლებზე“ მუშაობას ასრულებდა, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით დაძაბული პერიოდი იყო. რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველო სწრაფად მოიცვა. განსაკუთრებით გამორჩეული იყო გურია, სადაც გლეხთა მოძრაობის საფუძველზე ჩამოყალიბდა თვითმმართველობის უნიკალური სისტემა, რომელიც ისტორიაში „გურიის რესპუბლიკის“ სახელით შევიდა. ადგილობრივმა თემებმა თავად დაიწყეს ადმინისტრაციული, სასამართლო და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა. ეს ექსპერიმენტი დიდხანს არ გაგრძელებულა: 1906 წლის დასაწყისში იმპერიულმა ხელისუფლებამ რეგიონზე კონტროლი სამხედრო ძალით აღადგინა.
□
Programme Notes
Notes by Nino Jvania

Domenico Scarlatti – Sonatas K. 487, K. 29 and K. 113
Domenico Scarlatti’s 555 surviving keyboard sonatas are known through several different catalogues. Today the numbering most commonly used is that devised in 1953 by the American harpsichordist and scholar Ralph Kirkpatrick — hence the letter K. Of the three sonatas heard tonight, K. 29 has a special place in Scarlatti’s output: it was included in his collection of thirty sonatas, “Essercizi per gravicembalo”, published in London in 1738–39 and probably the only collection of his sonatas issued during his lifetime with his direct involvement. The hundreds of remaining sonatas survived largely in manuscript sources and became widely known only later.

Frédéric Chopin – Ballade No. 4 in F Minor, Op. 52
Chopin composed his fourth and final Ballade in 1842. In December of that year, he offered the work to Breitkopf & Härtel together with the Fourth Scherzo and the “Heroic” Polonaise; the Ballade appeared in print in 1843. It was dedicated to Baroness Charlotte de Rothschild, in whose Paris salon Chopin frequently performed. All four of Chopin’s Ballades were published during his lifetime. The title itself was borrowed from the vocal ballad, a narrative genre associated with poetry and song; by applying it to substantial, independent works for solo piano, Chopin helped establish the ballade as a new instrumental genre.

Natalie Beridze – Holy Atoms
“‘Holy Atoms’ was composed for Giorgi Gigashvili’s ECHO Rising Stars 2025/26 project. It was commissioned by ECHO, Konzerthaus Dortmund, the Cologne Philharmonie, the Luxembourg Philharmonie, and the Polish National Radio Symphony Orchestra in Katowice (NOSPR). As the composer herself notes, Giorgi suggested that she write the piece during one of the protest rallies held in Tbilisi. As a result, “Holy Atoms” became part of Giorgi Gigashvili’s Rising Stars programme.

Lili Boulanger – Trois morceaux pour piano
In 1913 Lili Boulanger became the first woman in the history of the prestigious Prix de Rome to win its principal composition prize. The following year, during her residence at the Villa Medici in Rome, she composed “D’un vieux jardin” and “D’un jardin clair”. The first piece is dedicated to Lily Jumel, a friend of Lili Boulanger, while the second is dedicated to Ninette Salles, another friend of the composer and a granddaughter of Gustave Eiffel. These two pieces were subsequently published together with “Cortège” under the title “Trois morceaux pour piano”. Tonight’s programme presents the first two

Maurice Ravel – Miroirs
Ravel composed the five-piece cycle Miroirs in 1904–05, and it was published in Paris by Eugène Demets in 1906. The complete cycle was first performed by Ricardo Viñes on 6 January 1906 at a concert of the Société nationale de musique. Ravel dedicated each of its five pieces to a different friend belonging to the Parisian artistic circle known as Les Apaches: Léon-Paul Fargue, Ricardo Viñes, Paul Sordes, Michel-Dimitri Calvocoressi and Maurice Delage. Ravel later made orchestral versions of two pieces from the cycle, Une barque sur l’océan and Alborada del gracioso.

Meanwhile in Georgia...
The year 1905, when Ravel was completing Miroirs, was also an exceptionally turbulent one in Georgian history. The revolutionary movement that had begun across the Russian Empire quickly spread through Georgia. The region of Guria became especially remarkable: a distinctive system of local self-government emerged there from the peasant movement and became known historically as the “Gurian Republic.” Local communities began administering judicial, civic and public affairs themselves. The experiment was short-lived; in early 1906, the imperial authorities re-established control over the region by military force.

8TH EDITION
TSINANDALI FESTIVAL
3-13 SEPTEMBER . 2026